საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2015 წლის 21 დეკემბრის

დადგენილება №1848

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საგამოცდო ცენტრის მიერ განხორციელებული
საქმიანობის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისათვის საგამოცდო პროცესში მონაწილე თანამშრომლებს შრომითი ანაზღაურება მიეცეთ საათობრივად, უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად, შემდეგი ნიხრით:
   - უფროსი მეთვალყურე – 4,10 ლარი/საათში;
   - მეთვალყურე – 3,50 ლარი/საათში.
2. საგამოცდო პროცესების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრს შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების კომპიუტერული ფორმით ჩასატარებლად თითოეულ საგანში აკადემიურ ჯგუფზე სემესტრში გამოეყოს დატვირთვა 12 (თორმეტი) აკადემიური საათის ოდენობით.
3. განისაზღვროს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების საშუალო წლიური საათობრივი დატვირთვის ოდენობა ფაკულტეტების მიხედვით და ფაკულტეტების ბიუჯეტში გასათვალისწინებელი შესაბამისი თანხები ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველსაყოფად.
4. ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით სტუ-ის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებს შრომითი ანაზღაურება მიეცეთ 2016 წლიდან.
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი სტუ-ის კომპიუტერულ ცენტრთან ერთად ჩართულ იქნეს სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის გასაწევი მომსახურების უზრუნველყოფაში და იმ თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ტიპის საქმიანობაში,

მიღებული შემოსავლებიდან მიეცეთ შრომითი ანაზღაურება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

6. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრმა (დავით კაპანაძე) უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტთან შეთანხმებით ანგარიშგება-აღრიცხვის დეპარტამენტში ინფორმაციის დადგენილი პერიოდულობით წარდგენა საგამოცდო პროცესებში მონაწილე პერსონალის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესახებ.
7. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) დაამტკიცოს წინამდებარე დადგენილება.
8. საკითხს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) სხდომაზე წარადგენს პროფესორი დავით კაპანაძე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე